

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მურან. ბაჯინის სახლებში უკუბის ქვემოთ.

სკოლის-მ. წყნა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეუკ. მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ, ВЪ РЕДАКЦІЮ «ДРОБНА»

«დროების» ფასი მთელის წლისა... 9 მან. სამის თვისა... 3 მან. ექვსის თვისა... 5 მან. ერთის თვისა... 1 მან.

დროება

ბაგოდის ქოველ დღე ორშაბათს ბარდა.

შპსი განსხვავებისა

სტრიქონზე რვა ვაბ. განცხადება მიიღება ქართლის რუსულს და სხვა ენებზე.

თუ საქართვებ-მოთხოვნა, რედაქცია განსწორებს და შეამოწმებს დასაბუთებულ გამოცხადებულ წერილებს და უპასუხებელ წერილებს რედაქცია გერ. დაუბუნებს ავტორს.

წაკვეთილი «დროებისა» ღირს 5 კაპეცია

პირველს სექტემბერს ამ წლისას გაიხსნება სასაოფლო მეურნეობის სკოლა სოფელ წინამძღვარიანთ-კარში. შპაწილები მიიღებიან ამ სკოლაში 10-12 წლისა, ყველა წოდებისა, უცვამენიოთ და უფასოთ. მისაც სურდეთ მისცენ თავისი შეილები სკოლაში, უნდა გამოაცხადონ სურვილი ჩემთანაჲც თბილისში, ყოველ დღე, გარდა შაბათისა და კვირისა. შაბათს და კვირას კი მივიღებ თხოვნას სოფელ წინამძღვარიანთ-კარში. მე ვეღვე ვარ მთლიანდების ქუჩაში, ქვრივი რჩეულთა სახლში, № 78.

შპაწილები სკოლისა წინამძღვარი-შვილი.

სქალპრამპი

(ქრდილოეთის საზღვრისა)

2 აგვისტოს. კაბარბურლი. გაზეთები გვაცნობებენ, რომ ებრაელთა კომისიის მოქმედება დაიწყო სექტემბერში; ამბობენ, რომ ამ კომისიაში სხვათა-შორის იქმნებიან სენატორები პოლოვცკვი, მორდვინოვი და კოვალევსკი, რომელთაც რევიზია უკვე შეგნითსა და სამხრეთ-აღმოსავლეთის გუბერნიებსა.

მოგილვ. კოდოლსკი. ბევრს პოდოლის გუბერნიის ადგილებ-

ში განდა დიქტერიტი, რისგამოც ჰფიქრობენ მოამზადონ რამდენიმე ნაწილი წითელის ჯვრისა; გუბერნატორის განკარგულებას გარდაეცა 40,000 მან. ამ ავად-მყოფობასთან საბრძოლველად.

მატირინოსლავი. ადგილობრივმა ურიების საზოგადოებამ შეადგინა კომიტეტი დაზარალებულ ურიების საშველად.

კალუა. ივლისის განმავლობაში სეტყვამ წახდინა ამ გუბერნიაში სხვა-და-სხვა ჰური 4,000 დესიატინა; ზარალი არის 375,000 მანეთისა; დაზიანდა 124 სოფელი.

პარიში ანამის დედა-ქალაქის იერიშით ადება ამ დღეებში მოხდება.

პირი. ხოლერა შესამჩნევად მკირდება; უკანასკნელს ოცდაოთხს საათს მოკვდა როზეტაში 8 გაცი და დანარჩენს პროვინციებში 332.

თბილისი, 3 აგვისტოს.

მთელის ქვეყნის ებრაელობა სულგანაბული უგდებდა ყურს იმ პროცესს, რომელიც ამ დღეებში გა-

თავდა მენგრიაში. იმას ესმოდა, რომ თუ ის ცილი, რომელსაც ებრაელების მძულვარებით ვატყებულობი სწამებდა მას, სასამართლოს ცილად არ ეცნა, არა თუ ბრალდებულებს, მთელს ებრაელობას ავი დღე დაადგებოდა და ხალხი ვითომ-ებრაელებისაგან წვალბულის ბაგშვის სისხლს ერთი ათასად და ათი-ათასად აიღებდა. ეს ესმოდათ მოსამართლეებსაც და იმ საბუთების დაწერილობით გასინჯვის შემდეგ, რომელიც ებრაელების წინააღმდეგ იყო წარდგენილი და რომელიც გამოამძიებლებს სხვა-და-სხვა წვალბებით გამოეთქმევინებინათ ზოგიერთ ბრალდებულთათვის, — ყველა ამ საქმეში გახეული ებრაელები სასჯელისაგან განთავისუფლებულად იცნო.

შინც კიდევ მარტო ექვმატი გარეუხა ხალხს ებრაელებისადმი მძულვარება და მენგრის რამდენსაჲ ქალაქში მათ წინააღმდეგ არეულობა მოხდა. პეტში ხალხმა კინაღამ ქვით ამოქოლა ის სასტუმრო, რომელშიაც უმთავრესი ბრალდებული შარფი ჩამოხტა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ რომ ამ პროცესთან ერთ დროს მომხდარი არეულობა რუსეთის ქალაქს ეკატერინოსლავში იმ ხმას უნდა დაბრალდეს, რომელიც უსწავლელ ხალხში გაზეთებიდამ ათას რიგად გადასხვაფერებული ვრცელდება.

რამდენჯერ ყოფილა ამისთანა პროცესი და ყოველთვის ან პროცესის დროს, ან მასუკან გამოჩენილა სრული უსაფუძვლო იმ საბუთებისა, რომლის ძალითაც ებრაელებს საზარელ ბრალსა სდებდენ და დამნაშავეთა სკამზედა სწამდენ. ამ ორმოცის წლის წინად ქ. დამასკში ებრაელებს დააბრალეს ძაბუტინის ბერის წვალბა და «წვალბულის» ძელები პარიტში წაიღეს პარიტში აღმოჩნდა რომ ეს ძელები ღორისა ყოფილიყო და ამ ამბავმა მისცა შემთხვევა ნემცების გამოჩენილ პოეტს ჰენეს ეთქვა: «ურიები არ ეწყობიან არც ღორისა და არც კაბუტინების ხორცსა.»

ამ რიგად ხან პირუტყვის ძელებს აღამიანების ძელებათ მიიღებდენ, ხან თხისკიკის ბაგშვის ტირილად და იმას კი არა ჰფიქრობდენ ამ შეცდომებით რა საშინელს დღეს აყენებდენ იმ ვრს, რომელიც ერთ დროს უფლისაგან ამორჩეულ ვრად ითვლებოდა!

მართალია, რაკი ებრაელები მთელს დედამიწის ზურგზედ მოიბინენ და თავიანთ მიწა-წყალი დაკარგეს, ისეთს საქმეს მიჰყვებს ხელი, რომელიც მამულის-მუშაქისათვის მოსაწონი არ არის; მართალია, უმთავრესი ხელობა ებრაელებისა ვაჭრობაა და ხშირად უსინიდისო ვაჭრობაც, მაგრამ ეს მანც არავის არ აძლევს ნებას უსა-

«დროების» ქელტონი, 4 აგვისტო.

სამზღვარს იმით.

მისის შერა ისეაზედ. — ჯოჯოხეთად გადაქცეული სამოთხე. — სამოთხედ გადასაქცევი ჯოჯოხეთი. — სახარას უღაბნო. — ლესკისის პროექტი. — ახალი ზღვა. — ამერიკელი მცურავი ნიგარის ჩანჩქარი. — წიგნების საქმე ოსმალეთში. — გაზეთი ნანგვარ-საათში ერთხელ.

მის არ გაუგონია ნეპოლის სანელი. ეს მშვენიერი ქალაქი სამხრეთის იტალიაში სძევს და გადაპყურებს თითქმის მუდამ უძრავს, სარკესავით კრიალა, ლაგუნარდს ნეპოლის ყურეს. იტალიელებს ანდაზათა აქეთ თქმული «Vedi Napoli e poi mori» — ნეპოლმს უნახავად კაცი არ უნდა მოკვდესო. ამ მშვენიერს ქალაქს გარემომო არა-ნაკლებ სასიამოვნო არე-მარეები აქვს შემორტყმული. ნეპოლიდამ ერთის საათის სავალზედ ზღვით მდებარებს პატარა ისკის კუნძულზე, რომელიც სწორედ რომ ქვენიურს სამოთხეს წარმოადგენდა — მინდრდა მეთქვა წარმოადგენს-მეთქი — წარსულს 4-ს იელისამდე. შეად მომცემი ნიადაგი, აუარებელი ვენახები, საამო სუნწელების მოშვენი მავნოლიების, ლიმონების და აველ-

სინების ტყეები, მშვენიერი ბუნებრივი აბანოები იზიდავდა მრავალს ხალხს საზაფხულოდ ამ კუნძულზედ და პირველი არისტოკრატები ნეპოლისა კი თავს ანებებდენ კოპია ისკიანდ დროს გატარებისათვის. მე იყო 4-ს იელისამდის, მაგრამ ეხლა სხვაა. ეს სამოთხე ეხლა ჯოჯოხეთად არის გადაქცეული, რომლის ასაწერად კაცს ანტეს კალამი უნდა ეკიროს ხელში...

ამ კუნძულზედ იდგა პატარა ქალაქი ძაზამიჩიოლა, რომლის მცხოვრებნი 4-ს იელის საღამოზედ ჩვეულებისამებრ შექცეოდენ: ზოგი დასერიზობდა, ზოგი ქალაქსა თამაშობდა, ზოგი თეატრში იყო, ზოგს ეძინა. უცრად მოისმა რაღაც საზარელი ქვესკნელიდამ ამოსული ხმა, შეირყა დედა-მიწა და ხუთს წუთში, სწორედ ხუთს წუთში, ეს ლამაზი ქალაქი უშვავს ნანგრევების გროვად გადარქვა. შვი, გველშაპის მზგავსი ღრუბელი, დაეხვა თავს კუნძულს და მტყერმა დაჰარა ყოველივე. პირველს წუთში ყურთა-ხმა აღარ ისმოდა, ინგროდა მთელი ქალაქი და ეს ხმაურობა ჰუარავდა სულთ-მოპრძეოთა მსხვერპლთა კენესას. რვა ათასი აღამიანი შეიწირა ამ საზარელმა ღამემ! ნანგრევების ქვეშ ეყარა რვა

ათასი მკვდარი, რომელნიც შემწვობას აღარ საჭიროებდენ და ეჭვება ერთი ამოდენა თავ-გატეხილი, ხელოფს დამტყრეული საბრალოს ხმით ითხოვდა შევლას... მისგან? შილასა სკალოდა სხვების საშველად; ვისაც კი ფენი და გონება შერჩა, ზღვისკენ მიისწრაფოდა, დედა-მიწის ნაპრალში ვარდებოდა, ან ზღვაში შედიოდა და იღრჩებოდა, რომ ამ ჯოჯოხეთიდან როგორმე თავი დაეღწია.

ღვეთმოთ სიტყვა ამ ამბის დამსწრეს, ერთს იტალიელ ინჟინერს: ჩვენ ვისხედით, ამბობს ის, ოთახში და ქალაქსა ვთამაშობდით, როდესაც მიწა შეირყა. ლამა ვაქრა. მე როგორც იყო ფორთხვით ბაღში ვავედი და იქ მთელი ღამე კანკალით ვაუთენე, ჩემს გარშემო ისმოდა შემაძრწუნებელი შევლის ძახილი, მაგრამ შევლა არავისი შემეძლო. მანთილისას ზღვისკენ წაველ, მაგრამ ეს მოგზაურობა საშიში იყო, რადგან ყოველ წუთს შეიძლებოდა დედა-მიწის ნაპრალში ჩავეარდილიყვავ, რომელიც იმ ღამეს გამოჩენილიყო. მზაზედ საზარელი სურათები ვნახე, — კაცის სხეულის ნაწილები გამოჩანდენ ნანგრევებ ქვეშ და თრთოდენ უკანასკნელის თრთოლით. შევლან

ყრუ კენესა და მომაკვდავების ხრიკილი მოისმოდა. მე ისე მისუსტებული ვიყავ, რომ შეველა არა შემეძლო რამ და ეს საცოდავები ჩემს თვალწინ სულსა ლევდენ. მთელი ღამე სხვა ხმებზე უფრო გარკვევით მესმოდა თავ-განწირულებით ძახილი: «ვაიმე, შეილებო!» ღმერთი დაინახე, რომ ამას ტერასაზე მდგარი ქალი იძახდა, რომელიც პერანგის ამარა მარტო გადარჩენილიყო მთელის სახლის მცხოვრებლებში. მიჰსავით თვალმებს აქეთ-იქით აფაციცებდა და მაშინდა ავით კიდევ ერთსა და იმავს იძახდა: «ვაიმე, შეილებო!» არ ვიცოდი, როგორ მენუგეშებინა მუბედური დედა, მაგრამ ამ დროს დაინახე, რომ ნანგრევებში ორი ბავშვი თამაშობდა. ღვეტაცე ხელი ბავშვებს და მოვევარე ამ ქალს. მის იმისი შეილები იყვნენ...

მზაზედ ქვეშ კიდევ იგავარჩიენ ქალის ხელი ფერჩატიო. მივედი საშველად და თითქო ქვესკნელიდამ კალის ხმა მომესმა: «უშველეთ ჩემს ცოლს, ჩემს ძვირფასს ცოლს, მე არ მინდა შეველა». მე ქალი ვიცანი, ეს იყო ალექსანდრიდამ და თავის ქმრით იმ სასტუმროში იდგა, რომელშიაც მე ვიდექ. ხელი რომ გავაწვდინე საშველად, ერთი დიდი ხე წამოვიდა

მართლად უმანკო ბავშვის სისხლის დაღვრა დასწამოს მათ.

ბალოს ამოწმებოთ იმ დებეშას, რომელიც მისკოვის ებრაელებს და ზოგიერთ არა-ებრაელებსაც ვაუკუნე-წინათ ტისა-მალარის ბრალდებულთა უმთავრესის დამცველისა და მის ამხანაგებისათვის:

«ზიგზანით თქვენ და თქვენს ძვირფას ამხანაგებს, დამცველებს ქვეშა-რიტებისა და სიმართლიას, ჩვენს ღრმა თანაგრძობას. შარდამ დღითი დღე ვადევნებდით თვალს სამართლის მსვლელობას და გვაკვირვებდა თქვენი კეთილ-შობილური ვატაცება, თქვენი გაბედული წარმოთქმა თავისუფლების აზრებისა, მიუხედავად დაბრმავებულის ხალხის მძულვარებისა და თქვენი თავ-გამომეტება უბრალოდ დევნულთა დასაფარავად. ღვთისმშობელ ქვეყანამ რომ ებრაელთა სარწმუნოებ-მა მოყვასის სიყვარულზე აგებულ ღმერთმა ინებოს, რომ სამართლის მატინაეებში უკანასკნელად ჩაიწეროს ამისთანა საქმე. უბრალო მსხვერპლნი ჭანატიზმისა ყოველთვის თქვენსთანა მუარველებს ვერ იშოვიან.»

ახალი ამბავი.

ჩვენ ნამდვილად შევიტყუო, რომ მ. ლ. ლამბაშიძეს მისვლია ნე-ბართვა სასულიერო გაზეთის «მწყემ-სის» გამოცემისა. ბავთი გამოიცემა ქ. შუთისში და ცენზორიც იქვე ეყრდნობა; რედაქცია კი დაბა შორა-პანში იქნება თითონ რედაქტორის, მ. ლამბაშიძის სახლში. გაზეთი ოქ-ტომბრიდამ გამოვა, თუ კი სტამბის მხრით დაბრკოლება არა იქნება-რა.

ზვიდამ და საცოდავ ქალს სული გა-აყრეინა.

ამ უბედურების დამსწვე მოვიდენ ნეპოლიდამ გემები და დაიწყეს ზიდ-ვა მკვდრებისა და დაჭრილებისა. მთელი იტალია ფეხზე დადგა. ქუნ-ძულს ჯარები დაახვეს და ნანგრე-ვებს შლა დაუწყეს რომ შიგ-და-შიგ ჩარჩინილი ცოცხალი ადამიანები გა-ენთავისუფლებინათ. სალდათები თა-ვეებს აღარა ზოგადენ და ცხარე მზის ქვეშ დაუღალავად შრომობდენ. ჩამ-დენსამე მათგანს მზემ დაჭრა და თა-ვი შეაწირინა ამ კაცობრიულ საქ-მისათვის. ბევრი ნანგრევებმა მოიდ-მოა. არც დღე, არც ღამე არ ეძი-ნათ ამ საბრალოებს და სადაც კი ცოცხლის კაცის ნიშნები გამოჩნდ-ბოდა, უნდა მიცინულიყენ და თა-ვ გამომეტებით წერაქვი და რკინის კეტები ემუშავებინათ. შოთ საღამოს მათ ყური მოჰკრეს ერთის ნანგრევის შუაგულში საშინელს ცენესას. მას-ცოვიდენ და ნგრევა დაუწყეს. შაველ წუთს მშველელებიც სიკვდილს მოე-ლოდენ დასანგრევად გამხადებულ კედლებისაგან. ბოლოს მიღწიეს იმ ადგილამდე, სადაც ხუთს ცოცხალს ადამიანს სამოც-და-მეიდი სათი უჭ-მელ-უსმელებს უკუნს სიბნელეში გაე-ტარებინათ. მათში ორი ქალი იყო.

სულითა და გულითა ეისურებო, რომ ამ გაზეთს მართლა «მწყემსობა» გაეწიოს და გაეყრცელებინოს ნათე-ლი ქვეშაირტებისა ჩვენს დაცემულს და სულიერს საზრდას მოკლებულ სასულიერო წოდებაში.

ქასპიდამა გვეწერენ: ეს რამდე-ნიმე ხანი, რაც კასპელები სკოლი-სათვის სამ-სამ მანათს იხდიან კომლ-ზედ, მაგრამ ეს ფული ქვემო-შალის სკოლას ხმარდება, რომელიც ქასპი-დამ 9-10 ვერსზეა. ჩვენ გავეიგონია, რომ რამდენიმე სოფელი ერთად შე-ერთებულყოფს და საერთო სკოლა გაეხსნას, მაგრამ ამ შემთხვევაში ყო-ველთვის შუა-ალაგას მდებარე სო-ფელს ირჩევენ ხოლმე. მა კი არ გაკვირვანია, რომ სოფელი სკოლის ხარჯს იხდიდეს და არც ერთი ბავშვი ამ სოფლიდამ იქ არა სწავლობდეს. მართლაც არც ერთი კასპელი ბავშვი არა სწავლობს ქვემო-შალის სკოლა-ში, თუმცა ქასპი წელიწადში სამასს მანათს იხდის. ან კი როგორ უნდა იარონ ბავშვებმა 9 10 ვერსის სი-შორეზე! ქასპელები სიხარულით კომლზე თითო მანათს მეტს გიღებ-დენ, ოღონდ ამათ შეილებს სწავლა ღირსებოდათ.

იქვე სოფელში, თურმე, გვალ-ვის დროს მდინარე ლეხურა, რომე-ლიც მთელის ქასპის ვენახებსა რწყავს, ისე შრება, რომ ორი ნაკადული ჯლივს გაჰყავთ, მაგრამ ეს ორიე ნა-კადული ამა ქვეყნის ძლიერებით შე-მოსილებს ერგებათ ხოლმე და ახაუ-რებსაც კი ვენახები უწყლოობით უზ-მებათ; გლეხებს ხომ ეილა რას და-ნებებს! ამას წინად ილაჯ-წართმეუ-ლი კასპელი გლეხები შეიყარენ

ქალები დაეცენ მათის დამხნელო-ბის მკლავებზე და გრძობა დაჭარ-გეს. ღიღნანს იყვენ ასე და როცა მობრუნდენ, ხმის ამოღების ილაჯი აღარა ჰქონდათ, თვალები უძრავად ერთს საგანს მისჩერებოდენ, ხელებს კვლანქამდენ და მთელი ტანი უკან-კალბდათ; დალურჯებულ ტუჩებით რიდასაც თქმას სცდლობდენ, მა-გრამ მათი სიტყვები ბავშვის ტიტინსა ჰგავდა. ქაწვილმა ქალმა გაიღიმა, მაგრამ ეს ღიმილი საშინელი ღიმილი იყო...

თუმცა ყოველ საათს მიჰქონდათ ნანგრევებიდამ მკვდრები დასამარხ-ვად, მაგრამ მანც ამდენი დარჩა რომ მთელს კუნძულზედ საშინელი მძოვრის სუნი დატრიალდა. მთელის კუნძულის ძალი და ღარი კახა-მიჩიოლას დაეხეა თავსა და ადამიანე-ბის ძელებს დაუწყეს ზერა. სალდა-თებმა ვერას გზით ვერ მოაშორეს ეს პირუტყვები იქაურობას, ვიდრე თა-ფების სროლა არ დაუწყეს.

იტალიის ხელმწიფემ თავის ფეხით დაიარა მთელი ეს ადგილი და 100,000 ზრანკი თავის ჯიბიდან იქვე დაურიგა უბედურებს. იქან მოინდომა იმისთა-ნა ადგილების ნახეც, სადაც ყოველ წუთს შეიძლებოდა ნანგრევების ქვეშ მოჰყოლილიყო. მანისტრები აფთხი-

თურმე და გადასწყვიტეს, წავიდეთ და ბატონებს ვთხოვოთ, რომ ერთი ნა-კადული მანც დაგვანებონო, მა-გრამ... ეყენის შემბმელი ვერაინ ეშო-ვათ... რადგან გაბედულობა მათრა-ხების შიშს დაუკარგინებია...

ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ მსურვეთში სა-ქალებო სასწავლებლის სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენების ფული 55 მან. და 55 კაპ. ქ. მ. ძაპაძისასა აქვს ჩაბარებული და აქამდის დანიშ-ნულებსამებრ არ გარდაუციოა. ქა-ლა მოგვივიდა ქ. მ. ძაპაძის წერი-ლი, რომელშიაც მოხსენებულია, რომ ევ ფული მე და ბ. ილიურიძეს უნდა საერთოდ შეგვეკრიბა და ერთად წარგვედგინაო, მაგრამ ბ. ილიურიძემ ჩემს ჩუმად გადაჰსცა ბატ. ანტონ ლლონტსაო. ჩვენ, სწორე მოგახსე-ნოთ, ვერ გავეიგია ეს ფულების ჩუ-მად გადაცემ-გადმოცემა და დაეთრე-ბის შემლა. საზოგადო ფული საზო-გადო საქმეს უნდა მოხმარდეს და საეჭვოდ არაფერი არა უნდა დარჩე-ს. შესამე პირების წამოყენება უფრო რეეს საქმეს და არაუერს კი არა ხსნის.

ქალაქის ტემრიუკადამ (შუბა-ნის მახრიდამ) გვეწერენ, რომ ჩვენს ქალაქში ექვსის წლის წინად სამს ქარფელ კაცს ვერა ნახავდი და დღეს კი ქარფელებით ღამის აქაურობა ვაივსოო. ტემრიუკის არე-მარე წყლით, ვენახებით და ხილის ბაღე-ბით შემკულია, მაგრამ აქ უფრო თევზის ჭერას მისდევენ და ჩვენებუ-რებს ეს ხელობა ძალიან ეხალისებათ და ემარჯეუბოთ.

ლუბდენ და აღბად თითონაცა ფთხი-ლობდენ, მაგრამ ხელმწიფეს ეთქვა: «მე მინდა ყველგან ვიყო და ყველა ვნახო. მე მინდა უბედურებაშიაც ყველაზედ წინ ვიყო, — მეც კაცი ვარ!» შოთს ადგილას რომ გაიარა და ნან-გრევების ქვეშ ასობით ადამიანის სხე-ულები ნახა, წარმოსთქვა: «ეს საში-ნელებაა; ამის წარმოდგენაც კი არა-ვის არ შეუძლიან!»

შოთის სიტყვით იმ ღამეს იაკის კუნძულზედ ვინც არ მოკვდა, ჭკუა-ზედ შეიშალა; ვინც ჭკუაზედ არ შე-იშალა, დასახიჩრდა; ვინც არ დასა-ხიჩრდა, იმის გონებიდამ მანც თავის დღეში არ გამოვა ეს საზარელი სუ-რათი ქვეყნიურის სამოთხის ჯოჯო-ხეთად გადაქცივისა.

ღეწებოთ ამ სურათს თავი და სხვა უფრო სანუგეშო საგანს გადა-ვაფლოთ თვალი.

ღიღი ხანი არ არის, რაც სუცის არხი გაიყვანეს და მეწამული ზღვა ხმელთა-შუა ზღვას შეუერთეს; ეხლა პანამის არხზე მუშაობენ და მალე მთელი ამერიკა პანამის სრუტითი ორად გაიწყვიტება. ამ საქმეების მომ-ქმედს, საფრანგეთის ინჟინერს ლე-სეპსს ეხლა სხვა საქმე განუზრახავს — ახალის ზღვის გაჩენა. მა გენიალური ინჟინერი ისე ეთამაშება ზღვასა და

ქალაქს ბროზნაში დროებითს სამხედრო სასამართლო... გადაუწყვე-ტია სამის კაცის პლდათოვის, ბა-ტაევის და მეზუევის ჩამოღრჩობა ია-რალით ციხის ყარაულზედ თავ-დასხმი-სა და მკვლელობისათვის. 1-ლს იე-ლისს ჩამოღრჩობა გადაუწყვეტიათ აგრეთვე ჩეჩნელის მამან ივლოვისა-თვის, რომელმაც ინჟინერი-პორუჩი-კი პრიანიშნიკოვი მოკლა (Новости).

შუთისილამა გვეწერენ: «ამ დღეებში, ურბების უბანში, სულის და გულის აღმასწავლებელს სურათს თავს წავატედა: ურბებს მიჭყავდათ ხა-სამთან დასავლავად შინაური ფრინველე-ბი (მომეტეული ნაწილი ქათამები). ხა-სამს სელში ეჭირა სამართულის მსგავ-სი მკრელი დახა, რომელსაც ერთხელ გამოუსამადა ქათამს კისურში და თავს მიანებებდა. ამ ნაირად დაკლული ქათამი ჯერ რამდენიმე საყენის მანძილზე გა-ქანდებოდა, მერმე დაიწყოდა აქა-იქ სტომას და კისრიდამ გამანსავით სი-სხლი სდიოდა. შემდეგ მთვრალს კაც-სავით ბარბაცს დაიწყოდა, დაეცემოდა ძირს და ძლივს ბოლოს სისხლისაგან დაიწრებოდა. მე ვერ წარმოამდგენია, რა წაალებით და ტანჯვით უნდა ისო-ცებოდას მსხვილი საჭანელი (ხაში, ძირსა, თხა, ცხვარი და სხვა), რომელსაც ხანამი, როგორც ფრინველებს, ერთის მეტს არ გამოუსავამს თურმე კი-სურში დახას. თუ კი ვატარა ვინჩილა შეიდ-რვა წამს არა კვდება, «ნებური» ხაში ხომ ნასვერს საათზე მეტი უნდა გაიტანჯოს. არ იქნება ურბოა «ვირ-უტეუთ დამკვლამ საზოგადოებამ» ყუ-რადღება მიატეიოს ხასმების ამ ნაირ

ხმელეთს, როგორც ბავშვი სათამაშო ქალაღლის შერობებს; მისთვის გაძწე-ლებული არა არის-რა. ლესესმა ამ ხუთის თვის წინად ცხენით დაიარა და გასინჯა შუა აჭრიკაში სახარას უდაბნო, მეტადრე ის ადგილი, რომ-მელიც საფრანგეთის კუთვნილს ალ-ყირს და თითქმის მისსავე ტუნისს აკრავს. მასინჯა, გაზომა, გამოზომა და შემდეგი წინადადება წარუდგინა საფრანგეთის მთავრობას: ნება მომე-ცით ეს სრულიად გამოუსადეგარი ალაგი, რომელიც მუდამ ხამთარ-ზეფხულ ქვიშით დაფარულია და ყო-ველ მცენარეობას მოკლებული, ზღვად გადავაქციოო; მაგრამ რომ გორც პრაკტიკულს ჭრანცუხს ერთი პირობაც არ დაგიწყებოთ: ახალის ზღვის გარემგეო ადგილი 30 კილო-მეტრზედ ჩემი და ჩემის თანამშრომ-ლების საკუთრება იყოს და ამას გარ-და 100,000 ჰექტარი ტყე მომეცით ამისავე სიახლოვესაო.

მა მართლა რომ ძნელად დასაჯე-რებელი ამბავი ისე საძნელო არ არის როგორც კაცს პირველში ეჩვენება. ის ნაწილი სახარასი, რომელიც მო-მავალში ზღვის ფსკერად უნდა გა-დაიქცეს, ბუნებითვე ამოთხრილსავეთ არის და ზღვის დონეზედ დაბლა სდგას; ასე რომ იმ ადგილამდის რომ

უღმერთო წესს და როგორმე მოაშლე-
ვინოს უნდა საქონლის ასე ბარბაროსუ-
ლად სოცია და წაალებს.»

«დროების» კორესპონდენცია.

დ. სანხმრე, 25 ივლისს. (უკვლეო*)
ჩვენს ზემო იმერეთში უკვლავად იაფია,
გარდა იფლისისა. ან კი რა გაააფხუბს იფლისს!
ჩვენი სახსრის მოკატრებები აიღებენ
ვალს, მერმე მოსდგებიან და თავის ეო-
ფა ცხოვრებას ან თავიანთ ცოლებს გა-
დასრულებენ, ან კიდევ ვისმე სხვას, ამ
განზრახვით რომ განიხილონ და სამდ-
ვილი მოკალე უნდა უნდა გააფხურონ და
იფილები შეიძინებენ. ერთს მოკატრეს
ქართა ერთის ზატოისანის პირის 424
მანეთი, რომელიც ვადასედ მოსთხოვა
ზატოისანმა. მოკატრე ცდილობს—არ გა-
დაიხადოს. გამომხდება ერთი კეთილი
გულის კაცი, გამოჩენილი და შესანიშ-
ნავი მოურავი, რომელიც ეუბნება მოკა-
ტრეს იმ იფილებს არ გადაგზავნიდნენ
შენთვის სასამართლოსათ; წადი, სამ-
ასის თუმნის თამასუკები დასწერე, ვი-
თამ ჩემი გამართებს. მოკატრე მიდის
და სწერს: «1881 წელს ვიკალე მე ამ-
დენი-და-ამდენი... სწერს 1882-ს წელ-
ში გაკეთებულ და დაბეჭდილ თამასუკე-
ბის ქაღალდზედ. კარგი სიმამრე გამო-
იხიეს ამ გაიძვერა პირებმა, თორემ
1882 წელში გაკეთებულ თამასუკების
ქაღალდზედ როგორ ვბედავენ 1881
წლიდან დაწერას? როდესაც იმ 424 მან-
ეთის მეპატრონე მიიყვანს სამსახურლო
ბოქლოუს იმ მოკატრის ქონების ასა-
წერად, მაშინ ჩვენი მოურავი შედის სა-
სამართლოში, ადგენს თავის თამასუკებს

და თხოვლობს დამკუთვლილებას. მს-
ჯული მამინვე გადაწვევს, აძლევს
აღსრულებითს იფილებს და ისე ისტუ-
მრებს. სწორედ კარგის გულისა არის
ეს ჩვენი სახსრის მსახური... ვისაც
ინგობს და ბოლოათა სთვლის, იმას
საქმესაც მალე უწვევს და ვადასედ მო-
კალეს უნიშნავს. მოკატრე ათასში ერთს
ნიმუშს. 6-ს ივლისს მისცა ერთმა სა-
წვლამ გლეხმა თხოვნა; მსახური უნი-
შნავს დროს 16 სექტემბერს; 8-ს იმა-
ვე თვეს აძლევს თხოვნას მღვდელი და
უნიშნავს 10 აგვისტოს.

ზემოსსენებელი თამასუკების საქმე
მოკალე სახსრემ შეატოო; იმათ რიცხ-
ში შეიტოო ბ. გამომხდებელმა და თა-
ვისით დაიწყო გამომხდება ამ საქმისა.
ზოგერთა ბოროტი ენები ამბობენ,
რომ იმასაც გააფხუბენო, მაგრამ მე ეს
არა მჯერა, რადგან ბ. გამომხდებელი
ერთი ზატოისანს გაამთავრანა.

რუსეთი

— გაზ. მხი-ს მოკატრეს ზოგერთა
საინტერესო ადგილები სისხლის სამარ-
თლის სტატისტიკურის ცნობებიდან,
რომელნიც ამ დღეებში იუსტიციის სა-
მინისტრომ გამოსცა. ამ ცნობებიდან
სჩანს, რომ საზოგადოდ ყველა ოლქის
სამსჯურებში 1878 წელს სულ 158
ათასი სისხლის სამართლის საქმე ეო-
ფილა. უმეტესი ნაწილი ამ საქმეებისა
ქურდობას, მტაცებლობას და სხვა სხვის
ქონების წინააღმდეგ ბოროტ-მოქმედებას
შეეხება (92 ათასი). უკვლავ ამ საქმე-
ბისთვის საერთოდ გაუსჯიათ 39 ათა-
სი კაცი ორივე სქესისა—35 ათასზე
მეტა მამაკაცი და 4 ათასამდე დედა-

კაცი; ამის რიცხვი 25 ათასზე მე-
ტი დაუსჯიათ—23 ათასი მამაკაცი და 2
ათასი დედა-კაცი.

ამ ცნობებიდან ჩნდება, რომ უმეტე-
სი ნაწილი დანაშაულობათა სიღარიბე-
სა და შიმშილის გამო ხდება. ამ და-
სჯენას ზემოსსენებელი იუსტიციის სა-
მინისტროს ცნობები სხვა საბუთებითაც
ამტყობებენ. ამ ცნობებიდან სჩანს გრე-
თვე, რომ შემოდგომაზე და ზამთარში
—განსაკუთრებით ოქტომბერში და იან-
ვარში—უფრო ბევრი ბოროტ-მოქმე-
დება ხდება, ვიდრე გაზაფხულზედ და
ზაფხულში. ეს ასე იმიტომ არის, რომ
კაცს ამ დროს უფრო ბევრი საშუალება
ქვს სამუშაოს მოიხიოს და არც ისე
საჭიროებს ბინას და სხვა ადრის და
სიცივისგან თავის შესაფარსა, როგორც
შემოდგომაზე და ზამთარში. რომ მარ-
თლა სიღარიბე და სამუშაოს უქონლო-
ბა ხდება უმეტეს ნაწილად დანაშაულო-
ბათა მიზეზად, ამას ისიც ამტყობებს,
რომ მცხვრებთა შედარებით ქაღალდში
უფრო ბევრი დანაშაულობა ხდება, ვიდ-
რე მამრებში; აი რად მამრებში მხე-
ლად ვინმე იქნება იმისთანა, რომ ცო-
ტა მინც არა ჰქონდეს რა, და ქაღალდ-
ში კი უმეტესი ნაწილად დანაშაულობისა
სრულიად არაფერი პადა და სხვად რა
ჰქონოს, არ იცის. მამრებისა და ქაღა-
ლდების ზედ-მოქმედება დედა-კაცებზე უფ-
რო სჩანს. მამრებში დედა-კაცი უფრო
ბევრია, ვიდრე მამაკაცი და ქაღალდში
კი წინააღმდეგ: დედა-კაცების რიცხვი
საკლებია მამაკაცების რიცხვზე, მაგრამ
ბოროტ მოქმედება რიცხვი დედა-კაცე-
ბისა ქაღალდში უფრო ბევრია, ვიდრე
მამრებში.

* იხ. «დროება» № 148.

არხი გავიდეს და ჩველთა-შუა ზღვი-
დამ წყალი მიეშვას, თავისითვე აიესე-
ბა და მიწის ამოღება აღარ დასჭირ-
დება. არხის მოთხრა, ლესევის სიტყ-
ვით, ისე იაფად დადგება, რომ ამის-
თანა საქმეებში სათქმელიც არ არის;
სულ მოურნდება ორი მილიონი
ჭრანკი; რადგან ის ადგილი, სადაც
არხი უნდა გავიდეს, კლდიანი არ არის.
თუ ეს პროექტი შესრულდა, ლე-
სევის ჩინებულს მომავალს უქადის
ახალის ზღვის გარემოში მდებარე
ქვეყნებს; სადაც ეხლა მიწას სრუ-
ლიად ფასი არა სძევს; ის უქადის კე-
თილს ჰავას, ნიადაგის განაყოფი-
რებას, საქონლის ზიღვის გააღვილებას
და ლამაზის ქალაქების აშენებას იქ,
სადაც ეხლა მხოლოდ პატრიკის ცხელს
ქარს გაუდის ზუზუნი და მტერის
კორიან ტელით აღრჩობს ბედშავს შემ-
თხვევით მივარდნილ მოგზაურებს.

ლესევის სახელი ეხლა განთქმუ-
ლია მთელს დედა-მიწის ზურგზედ,
მაგრამ ზოგიერთა წრეებში, სადაც
სურათობას, ცხენზე ჯდომას და სხვა
ამისთანა დროს ვატარებთ დიდს ყუ-
რადლებას ამქვეყნს, არა ნაკლებ განთქ-
მული იყო კაპიტანის მეტის სახელი,
რომელიც ამ დღეებში ნიაგარის ჩანჩ-
ქარში დაიღუპა. „ჩანჩქარი“ ვერ არის
შესაფერი სახელი იმ ბუნების სურათ-

თისათვის, რომელიც წარმოადგენს
მთელს უშველებელ ტბას თეალუწე-
დენელის სიმალიდამ უეცრად უფს-
კრულში დაქანებულს. კაპიტანი მეტი
პირველი მცურავი იყო და სახელი
სხვათა შორის იმით გაითქვა, რომ
1875 წელს ლამაზის სრუტე სურ-
ვით გაიარა. მალა მონდომა ნიაგა-
რის ჩანჩქარში გასვლა სწორედ იმ
ადგილის ქვეშ, სადაც წყალი ზემო-
დამ ჩამოდის და მერე საათში 140
ვერსის სისწრაფით მიდის. რამდენსამე
ალაგას კაპიტან მეტს იმისთანა მორე-
რევი დახედებოდა, რომელთაც თითქ-
მის ვერა სულიერი ადამიანი ვერ გა-
დურჩება. დანიშნულ დღეს, 9 ივლისს,
ასი-ათასამდე სული მოვიდა ნიაგარის
ჩანჩქართან იმ რკინის გზით, რომლის
გამგებამაც მეტს ამ განზრახვისათვის
10,000 დოლარი დაუთვალა, და მცურ-
რავმა გარკვევით დანიშნა რამდენიმე
მორევი, სადაც დაღუპვა მოელოდა.
ბასტურა სამიშ კლდეებს შუა და
მიუახლოვდა მორეებს. პირველში
მორეების გაღლა ძალიან უჭირდე-
ბოდა, მაგრამ იხმარა ხერხი და რო-
დესაც მორეებს მიუახლოვდებოდა, ჩაი-
ყურყურებოდა და მერე მხარეს
ამოჰყოფდა თავსა, მაგრამ ყველაზედ
სამიშარს მორეებს, რომელიც ზედ
შუა ალაგას იყო, ვეღარ გაუძლო ამ

ძლიერის და მარდის კაცის ძალ-ლო-
ნებას; ერთი ორჯერ კი გამოჩნდა
წყალ-ზევითსიკვდილთან განწირული-
ბით მეტძობლი და საუკუნოდ ჩაიმა-
ლა ამ უფსკრულში.

ზგანათ, ამერიკელებს ეს ამბავი
დააშლიენებს ნიამარასთან ბრძოლას?
სრულიდაც არა. ამას იქით ბევრი
შესანიშნავი მცურავი გაიხდის თავის
ცხოვრების საგნად იმ ნიაგარას და-
მარცხებას, რომელმაც გამოჩენილი
კაპიტანი მეტი შთანთქა.

ნიაგარაში ჩაეარდა თავი-გამო-
მეტება ყოფილა, მაგრამ წიგნების შედ-
გენასაც მსმალეთში კარგი გმირობა
სდომებია. იქ თურმე ვინც კი წიგნს
გამოსცემს რასმე, ეს წიგნი სახალხო
განათლების (ან სახალხო დაბნეო-
ბის) სამინისტროს უნდა წარუდგი-
ნოს და თან უმაღლესს სასწავლო-
ბელში კურსის გათავების დიპლომი
მიადენოს. სამინისტროს ჩინოენიკი
გადანიჯავს წიგნს და ავტორს იმის
წიგნიდამე გამოსცდის, მართლაც ის
არის ავტორი თუ სხვას დაწერინა
ესმე (მე ამ ჩინოენიკს «თაილისი-
დამ მოსკოვამდის მოგზაურობის» ავ-
ტორს ბ. ძასუმოვს გაეუგზაენიდი
გამოსცდელად). თუ ვინცობაა, ავ-
ტორი ნამდვილი გამოდგა, წიგნი თი-

სხსოვითი
ბერნადამ იწერებან გაზეთებში,
რომ იქაც მოუხდენათ უწესოება მუშებს.
17 ივლისს კვლავზე აუგრაო წერი-
ლები, რომელნიც ზოლიცისა ჩამოუხე-
ვია, მაგრამ მერე დღეს გამომჩენილი
სოციალისტების მოთავე გერიტე და
რამდენიმე ასი მუშა მისულებს რატუ-
შასთან და მოუთხოვნათ სასკოლო
რჩევისათვის; თავიანთთვის სამუშაო და
თავის ცოლ-შვილისთვის პური. ამ
დროს 50 უხანძრში ჩასაფრება რატუ-
შაში; მათს უფროსს გაურკვია მუშების
დეპუტაცია და თვითონ მუშების
თვისაც უთქამს, რომ წასულიყუ-
ნენ თავ-თავიანთ სასკოლო; მაგრამ მუ-
შებს არ გაუგონათ და უხანძრებს აა-
რადით და მუშებთან დაუწვიათ მოკე-
ნიდამ გარეკა. ამ დროს ორივე მხრი-
დამ რამდენიმე კაცი დაჭრილა, მათს
რიცხვში ცენტრალური ზოლიცის უფ-
როსიც. გერიტე და კიდევ სხვა რამდენ-
იმე მოთავე დაუტუსადაბათ; მაგრამ მინც
კიდევ უშინანთ ამ უწესოების განმეო-
რებისა.

ჩვენს მეთხველს ეხსობება, რასაკვი-
რელია, რომ ამას წინათ ზედ ინგლისის
ორთქლის გემზე «მელროზ-კასტელზედ»
ერთმა ირლანდიის სახალხო პარტიის
მომხრემ რ-დონელმა მოკვლა გერი-
ტე რომელიც გასცა ის პირები, რომელთაც
ამ რამდენიმე ხნის წინად ინგლისის სა-
სკოლო კაცები დასოცეს ქენიქის
პარკში და რომელნიც უკვე სიკვდილით
დასაჯეს. ამ გერის მოკვლის თაობაზე
ასლად უფრო ვრცელს ამბებს კეთისუ-
ლობით გაზეთებში. დამნაშავეებს სიკვ-
დილით დასაჯის შემდეგ ქენიკები გერის
მოკვლის მეტს აღარას თვითობდენ და

თონ მინისტრს წარედგინება, რომე-
ლიც გადაათვლიერებს მას, ამოშლის
საკვეო ადგილებს, და თუ მანებელი
რამ ამოიკითხა, ავტორს დასასჯე-
ლიად მისცემს. მართლაც რომ ნიაგა-
რის ქვეშ სურვა უნდა სჯობდეს
მსმალეთის «სახალხო განათლების»
სამინისტროს ხელში ჩაეარდნას.


მსმალეთში ასეა, მაგრამ დასაფ-
ლეთის ევროპაში ყოველ დღე იმას
ჰთქობდენ, მკითხველებს წუთსა და
წუთს ახალ-ახალი ამბები როგორ
მიწვიდნონ. ბევრს ეცოდინება, რომ
ქერას ლონდონში თქმული ქადაგე-
ბა რომელიმე გამოჩენილის მქადაგე-
ბისა სიტყვა-სიტყვით ნოუიორკში
მრშაბათის გაზეთებში არის ხოლმე
დაბეჭდილი, მაგრამ ბევრს არ ეცო-
დინება, რომ ლონდონში განზრახე-
აქეთ ყოველ ნახევარ-საათში ერთხელ
გაზეთი გამოსცენ ახალ-ახალის ცნო-
ბების საზოგადოებისადმი მისაწვდე-
ნად.

ჩვენში კი სახელოვან საქმედ ჩასა-
თვლილია და ვთვლით კიდევ კვირის
გაზეთის ყოველ დღიურ გაზეთად
გარდაქვევას!

დაუწყეს მას დედას მიწის გაცხადება ან იყო იმართვის, რომ კერი, რამდენიმე წელიწადი განთავსდებოდა თავის ცოლ-შვილში წაიღოდა, ამისთვის, რომ თუმი-ცა სსსტორიუ სასწილად ვერ იყო, მკუ-რამც ცოლში დარჩა, მისთვის, რომ იგი იცოდნენ, რომ ამის ცოლში დარჩა და იგი დასადენ ორთქ-ლის გემზე «კინტაუსი»-ს, რომელიც კავშირადში მიდიოდა, რადგან, რომ-მელსაც მისდობალი ჰქონდა კერის მოვლ-ლა, ამ დროს უგზავდათ ამ სომალდსე მოსკვად და დიდხანს არა იყო, რომ არ იცოდა, თუ მოვალეობა კერიც იქ იქნა. მისმა ცოლმა გაიგო კერის ცოლი და ამ უგზავნისთვის შეიტყუა, რომ ამის ქმარიცაა ზის. კერის უღიარებლობის ქმარს აცხადებდა ბილეთი, რადგან მისი კავშირადში იყო და კერიც იქ იყო. მისი კავშირადში იყო და კერიც იქ იყო. მისი კავშირადში იყო და კერიც იქ იყო.

ბინეთის სალსის ჯან - მთელობა. მკურნალობის მინისტრებმა უნდა იყოს, რომ ოპორტუნად ვაჭრობა შედგეს. უნდა იყოს, რომ ოპორტუნად ვაჭრობა შედგეს. უნდა იყოს, რომ ოპორტუნად ვაჭრობა შედგეს.

მანუსკრიპტი
 მსყიდვება მებელი; სასტუმრო ოთა-ბისათვის, კაბინეტისათვის, პურის საჭ-მელისა და საწოლის ოთახისათვის; აგრეთვე ქურჭელი და სამზარეულოს ავეჯეულობა; ყუვილები, აკვარუმბი და ოთახის შადრევანი. მისილოვის ქუჩა, სახლი № 52. (3-1)



ინგლისური რკინის კარვობები
 ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწო-ლიანი 14 მ., ლეიბები გატანილი ზღვის ბაღსათ 5-დან 9 მან. ინგლისურს პალატიში. იქვე ისე იყიდება 25% ათვით სანამ სხვაგან სადმი: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვჩები, ფანდრები, კლიტე-ები, საფანჯრები, რკინის კალმები, ქა-ლალი, ნიშები, რეკლამები, თოფე-ბი, გაცისა და ქალის უნაგირები, ალბო-მები, გლეხები, ხა 1-ლის სარისი-სა. (100-99)

ინგლისის პალატი
 Maison de confiance
 შედარებით ხვენი ჩაი მსკაულის ჩაი
 1 შ. 10 ჯ. 1 შ. 40 ჯ.
 — — 1-20 — — 1-60
 — — 1-40 — — 1-80
 — — 1-60 — — 2 —
 — — 1-80 — — 2-50
 საუკეთესო 2 — — 3 —
 იქვე ისე იყიდება მსკა სანქციონი: თო-ფები, რეკლამები, ვრავობები, ჭურ-ჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვჩები, ტაშტები, კალმები, ქალაღი, მოკლადი, ვაჭარ, ვასიუტები, მურაბე-ბი, მანუჩია, უნაგირები, გლეხები, წინდები—გაცის და ქალის, სულ-სასო-ციები, მავინტომინ ფალსეორი — სულ-ველაფერი 25-დან 50 პროცენტით უფ-რო ითვება, ვიდრე სხვა რემელსამე მა-ღასიაში.
 ვინც ქალაქს ვაჭრად 25 მანკილი 1.000 მანკილიდან სანქციონს გამოი-წერს, გასაჯაროებს არაფერს არ ის-დის. (100-15)

სტამბა
 მთიანი ივ. ხელახისა.
 თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის კულისის შენობაში.
 იღებს ყოველ ვაჭარ სასტამბო საქმეებს საბეჭდა-ვად: გაზეთებს, ქურნალებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთვე ყოველ-ვაჭარ ბლანკებს სიგეტებს, განცხადე-ბებს, აფიშებს, პირობებს, და სხვ.
 სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შე-სრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ.
 სტამბა გისრულებს კორრექტურის გასწორებას და ბროშურების გაკეთებას, უკეთუ ზაგარის მომკვმნი ისურვებენ.
 მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.
 Тифлис, типография Ефимия Ив. Хеладзе.

ინგლისის მალაზიაში
თმის-აპოპიანი **მაკ-მასტარი**
 ამაგრებს თმის და აღინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუმი-სა 2 მანკი, გაგზავნით 2 მანკით და 28 კანკი. (100-18)

საკლობუსო
 რომლებთანაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთადერთი სააგენტო—ინგლისის მალაზია. იქვე აწარმოებენ სხვა-და-სხვა ვაჭარის კალმები, უოველის, სელისათვის—25% ათვით, ვინც სხვაგან იქვე: მელანი, ქაღალდი, განკურტები, რეკლამები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუძაყნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამები, მკრატლები, სამართებლები, სანთელი, საღვთა, ცანაშეები ჭურჭლების საწმინდე (ბორაკი), თეთრულისათვის, პატარა სალეს, აიტაისათვის გლიონები, ტასტები, სავარძლები, სარკები, სავარცხლები, ბუნძე-ნი, ზარები, ბინჯები რეკლამები, გატერპასები, მზის-სათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწვეები, ნემსები, მანკალები, სვისტოვი, პომონი, ქამრები, სარტლები, საყელური, პრობები, სამარბები, ვრახები, ფილტრები, შინატკა-თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტის მავინტოშები, ვრახები, საკვამო-ქაღალდი გატერ-კლორეტისათვის და სხვ. და სხვ.
 პატარა—20 მ. (100-59)

მაჯანდა
 ხორაგისა, რომელიც იყიდება თბი-ლისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 აგვისტოდამ 16 აგვისტომდე 1883 წ.
 გამოცხადება პური რუ-სეთის ფქვილისა — 1 გარ. 5 ჯ.
 აჭურის ფქვილისა: პირ-ველის სარისისა — 1 ბ. 3 ჯ.
 მეორისა — 1 ბ. 2 1/2 ჯ.
 იმავე ფქვილ. თორნიში გამოცხადება:
 პირველის სარისისა — 1 ბ. 5 ჯ.
 მეორისა — 1 ბ. 3 1/2 ჯ.
 მესამისა — 1 ბ. 3 ჯ.
 ვარის-მამის პური:
 პირველის სარისისა 1 ბ. 5 ჯ.
 მეორისა სარისისა 1 ბ. 3 1/2 ჯ.
 მესამისა — 1 ბ. 3 ჯ.
 მორისა სარისი:
 პირველის სარისისა — 1 ბ. 8 ჯ.
 მეორისა — 1 ბ. 7 ჯ.
 სუვი — 1 ბ. 15 ჯ.
 ცხუისა სარისი — 1 ბ. 7 ჯ.

რკინის გზა
 თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით.
 თბილისიდან საშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
 თბილისიდან ბაქსკენ 11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
 ბაქოდან თბილისისკენ 10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
 რიონიდან თბილისისკენ 1 საათზედ და 37 წამ. ნაშუადღეს.
 ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილისა.
 ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა.
 ფოთიდან ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
 ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 7 საათ. და 49 წამ. დილისა.